საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი N2

ქ. თბილისი 16 -- **ივნისი 2014 წ.**

შესყიდვის საგანი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ **ქ. სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. N86-ში მდებარე დევნილთა განსახლების ობიექტის სანიაღვრე კანალიზაციის მოწყობის და წყალმომარაგებისათვის საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების** სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის (**N1259**) საშუალებით.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე:

- გოგი ფაცაცია — მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის თავმჯდომარე

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:

-მერაბ მენაბდე — მინისტრის მოადგილე
-ამირან გოგიძე — საფინანსო დეპარტამენტის უფროსი
-კახაბერ პეტრიაშვილი — იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
-მურად აბლოთია — დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
-გია ნაჭყებია — განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი
-ირაკლი კოკაია — მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:

-ნოდარ ყოჩიშვილი — მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი
-დავით ლოლაძე — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი
- თეიმურაზ მაღალდაძე — ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი
- ნინო მენთეშაშვილი — საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენდაციით უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი
- მაიკო მიქაია — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი - კახაბერ ჩხარტიშვილი, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი.

დღის წესრიგი:

1ქ. **სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. N86-ში მდებარე დევნილთა განსახლების ობიექტის სანიაღვრე კანალიზაციის მოწყობის და წყალმომარაგებისათვის საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების** სახელმწიფო შესყიდვაზე მიმდინარე ელექტრონულ კონკურსში კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შედეგების განხილვა.

2. კონკურსში (**N1259**) მონაწილე კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შერჩევა-შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

საკონკურსო კომისიამ მოისმინა:

საკონკურსო კომისიის აპარატის წევრმა მაიკო მიქაიამ საკონკურსო კომისიას წარუდგინა სამინისტროს მიერ 2014 წლის 30 მაისს გამოცხადებულ ელექტრონულ კონკურსში (**N1259**) მონაწილე კონკურსანტების მიერ დალუქული კონვერტებით წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, მან აღნიშნა, რომ კონკურსში მონაწილე კონკურსანტებისთვის საკონკურსო წინადადებების მიღება დასრულდა 2014 წლის 10 ივნისს, 14:00 საათზე;
ელექტრონულ კონკურსში (**N1259**) მონაწილეობდა და თავისი საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა:

1. **შპს „არქსერვისი 2008 "**

სხდომაზე აღინიშნა, რომ საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილია დალუქული კონვერტით, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადებში - საკონკურსო წინადადების დაგვიანებით წარმოდგენას ადგილი არ ჰქონია.
საკონკურსო კომისიის სხდომის მიმდინარეობისას კომისიის აპარატის მიერ, საკონკურსო კომისიის წევრების თანდასწრებით განხორციელდა ზემოაღნიშნულ კონკურსებში მონაწილე კონკურსანტის მიერ გამოგზავნილი დალუქული კონვერტის გახსნა და მასში არსებული საკონკურსო დოკუმენტაცია განხილვისათვის გადაეცა საკონკურსო კომისიის წევრებს.

საკონკურსო კომისიამ განიხილა:
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ გ. ფაცაციამ მიმართა დამსწრეებს და განუმარტა, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების თანახმად, მას შემდეგ რაც ცნობილი გახდა კონკურსში მონაწილის ვინაობა, საკონკურსო კომისიის წევრები, საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები ვალდებულნი არიან წერილობით დაადასტურონ, რომ ამ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

საკონკურსო კომისიის წევრები ხელმოწერებით დაეთანხმნენ ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ ხელწერილის მოთხოვნას.

საკონკურსო კომისის წევრებმა შეისწავლეს კონკურსანტების მიერ დალუქული კონვერტებით გამოგზავნილი დოკუმენტაცია, რის შემდეგაც დაასახელეს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების ფასი.

1. **შპს „არქსერვისი 2008 " – 2 450 (ორი ათას ოთხას ორმოცდაათი) ლარი;**

საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს შპს **„არქსერვისი 2008"–ის** მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და აღნიშნეს, რომ საკონკურსო წინადადება შეესაბამება საკონკურსო განცხადებითა და საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

საკონკურსო კომისიამ გადაწყვიტა:
1. **შპს „არქსერვისი 2008"–ის** მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შეესაბამება საკონკურსო განცხადებითა და საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
2. ელექტრონულ კონკურსში (N1259) გამარჯვებულად გამოვლინდა **შპს „არქსერვისი 2008"**;
3. საკონკურსო კომისიის აპარატს დაევალა:
3.1. კონკურსანტისთვის კომისიის გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნა.
3.2. გამარჯვებულ კონკურსანტთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების და კანონმდებლობით დადგენილი სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმდება.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე: გოგი ფაცაცია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:

მერაბ მენაბდე

ამირან გოგიძე

კახაბერ პეტრიაშვილი

კახაბერ ჩხარტიშვილი

მურად აბლოთია

გია ნაჭყებია

ირაკლი კოკაია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:

ნოდარ ყოჩიშვილი

დავით ლოლაძე

თეიმურაზ მაღალდაძე

ნინო მენთეშაშვილი

მაიკო მიქაია

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

16 -- ივნისი 2014 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნების თანახმად, ქვემოაღნიშნული პირები ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ 2014 წლის 30 მაისს გამოცხადებულ ელექტრონულ კონკურსში (N1259) ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სახელმწიფო შესყიდვის ობიექტი:
ქ. სამტრედიაში, რესპუბლიკის ქ. N86-ში მდებარე დევნილთა განსახლების ობიექტის სანიაღვრე კანალიზაციის მოწყობის და წყალმომარაგებისათვის საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის (N1259) საშუალებით.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე:

გოგი ფაცაცია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:

ნოდარ ყოჩიშვილი

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:

მერაბ მენაბდე

ამირან გოგიძე

კახაბერ პეტრიაშვილი

კახაბერ ჩხარტიშვილი

მურად აბლოთია

გია ნაჭყებია

ირაკლი კოკაია

დავით ლოლაძე

თეიმურაზ მაღალდაძე

ნინო მენთეშაშვილი

მაიკო მიქაია